

მაია
თეთრუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი,
ნიუ-ორკის
მეცნიერებათა აკადემიის
წევრი

ია თეთრუაშვილი
ქუთაისის სამართლისა და
ეკონომიკის
უნივერსიტეტის
დოქტორანტი

**კომერციული ბანკების
პოპულარული რისკები
კრიზისშემდგომ პერიოდში**

კრიზისი, რომელმაც ჯერ საფინანსო ინდუსტრია მოიცვა და შემდგომ მთელ ეკონომიკაზე გავრცელდა, გარდამტეხი მოვლენაა. გლობალური საფინანსო ბაზრის საკმაოდ ვრცელმა სეგმენტმა მუშაობა შეწყვიტა. საკრედიტო კრიზისმა მანამდე მიძინებული რისკის რამდენიმე სახე გაააქტიურა .

2007 წლის ფულის ბაზრის პირველი დაბრკოლების შემდეგ ბანკირები რისკის ხან ერთ სახეზე მიუთითებდნენ, ხან მეორეზე, ნიშნად იმისა, რომ ყველაზე უარესი უკან მოიტოვებს, თუმცა მას შემდეგ კრიზისმა ტემპი უფრო აკრიფა.

საქართველოში კრიზისს ყველა აგვისტოს მოვლენებს და ე.წ. პოლიტიკური რისკის გააქტიურებას აბრალებს, მაგრამ საქართველოს საბანკო სივრცეში გაცილებით ადრე დაიწყო შიდა კრიზისი და აგვისტოს მოვლენებმა (ქვეყნის რისკი) ის მხოლოდ გამოაშკარავა და გააღრმავა. საქართველოს საბანკო კრიზისში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის

მსოფლიოს ფინანსურ კრიზისსაც (საგარეო რისკი). საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის სფერო შეიზღუდა და კომერციული ბანკებისათვის თავისუფალი ეკონომიკური გარემო შეიქმნა. ამის შედეგად ბანკები თანდათან ეროვნული ბანკის კონტროლიდან გამოდიოდნენ. კრიზისის პერიოდში ხელისუფლებამ აჩვენა, რომ ის მზად არის ყველაფერი გააკეთოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. მთავრობები და ცენტრალური ბანკები იძულებული გახდნენ ჩაენაცვლებინათ კერძო კაპიტალი მთელ საბანკო ინდუსტრიაში, საკუთარ თავზე აეღოთ კომერციული ბანკების მიმდინარე ლიკვიდურობის, გრძელვადიანი დაფინანსების და კერძო აქციების როლი. საკრედიტო კრიზისის გამოწვევის უმთავრესი მიზეზი იპოთეკური კრიზისია. ბინათმშენებლობა ბანკების შემოსავლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. რა თქმა უნდა, ბინათმშენებლობა არ არის კრიზისის გამოწვევის ერთადერთი მიზეზი, დაბრკოლებები შეიმჩნევა ისეთ სფეროებშიც, როგორცაა საკრედიტო ბარათების სესხები და კერძო კომპანიების სესხებიც, რომლებიც დაფინანსების მიზნით სარგებლობდნენ მრავალნაირი საკრედიტო ხაზების მომსახურებით. კრიზისის პერიოდში უფრო ინტენსიური ხდება დისკუსიები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეიცვალოს წესები და გლობალური საფინანსო სისტემის ინფრასტრუქტურა.. ქართულ საბანკო სფეროში კრიზისის გამძაფრება 2008 წლის შუა პერიოდში დაიწყო. პირველი ორი კვარტალი

კვლავ გრძელდებოდა საბანკო სისტემის ზრდის ტემპი, მაგრამ ეს ზრდა გარკვეულწილად წინა პერიოდის საქმიანობის შედეგად იყო მიღებული.


2008 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკების აქტივები 7 728 431 257 ლარს შეადგენდა, რაც 2007 წლის ბოლო მონაცემებზე 7.5%-ით მეტია. ასევე გაიზარდა ბანკების ვალდებულებებიც (6 063 394 954 ლარამდე, ანუ 5.7%-ით და სააქციო კაპიტალიც 17%-ით 1 749 868 080 ლარამდე).

აღნიშნული პერიოდის მაჩვენებლების ზრდა მხოლოდ რამდენიმე ბანკის მაჩვენებლების დამსახურებაა. ერთ-ერთი მიზეზი ისაა რომ, ამ პერიოდში საქართველოში გაიხსნა ორი ახალი ბანკი, “პროგრეს ბანკი” და “ხალიკ ბანკ საქართველო”. “პროგრესს ბანკის” დამფუძნებელია კახი კალაძე, რომელიც წარმოადგენს საინვესტიციო ჯგუფს “კალა-კაპიტალს”, ბანკის საწედებო კაპიტალი შეადგენდა 12.2 მილიონ ლარს. 2008 წლის მარტში სს “სტანდარტ ბანკი” ოფიციალურად გადავიდა სს “კორ ბანკის” მფლობელობაში. “კორ ბანკმა” შეიძინა “სტანდარტ ბანკის” აქციების მთლიანი 100% 42 მილიონ დოლარად. ბანკის სტაბილურობის გარანტიად გვევლინება მისი მლობელი, ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანია “დაბი ჯგუფი”, რომელიც დაფუძნდა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში.

მეორე კვარტალში კიდევ უფრო მეტი იყო კომერციული ბანკების მონაცემების ზრდის დინამიკა. 11%-ით გაიზარდა მთლიანი აქტივები და შეადგინა 8 593 033 034 ლარი. ბანკების მთლიანი ვალდებულებები კი 6 862 430 693 ლარს შეადგენდა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 13.2%-ით მეტია; მთლიანად ბანკების საწესდებო

კაპიტალი 17%-ით გაიზარდა და შეადგინა 1 749 868 080 ლარი.

ამ ზრდასაც ჰქონდა თავისი მიზეზები: 2008 ივნისის ბოლოს საქართველოს საბანკო სექტორს შეუერთდა სს “ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო”, რომელიც 2007 წელს დარეგისტრირდა, თუმცა საქმიანობა ამ პერიოდში დაწიყო. “ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო” საქართველოს და საზღვარგარეთ მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სთავაზობს კონკურენტუნარიან საბანკო მომსახურების სრულ პაკეტს.



საქართველს კომერციული ბანკების აქტივების მონაცემები

2008 წლის მეორე ნახევარში მონაცემები კომერციული ბანკების აქტივებს ეხება. მკვეთრად შეეხოთ კრიზისი. ქართულ საბანკო სისტემაში ზრდის ტემპი შეჩერდა და დაიწყო მისი შემცირება. ბანკების აქტივები მესამე კვარტალში მეორესთან შედარებით 381 მილიონი ლარით შემცირდა, რაც დაახლოებით 4.5%-იანი კლება იყო.

ყველაზე დიდი მოცულობით შემცირდა ბანკების ვალდებულებები. ისინი დაახლოებით 406.8 მილიონი ლარით შემცირდა, რაც მთლიანობაში დაახლოებით 6%-იანი კლება იყო. აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ


ამ პერიოდში ხდებოდა ანაბრების დიდი მოცულობით გამოტანა.

ასევე შემცირდა სააქციო კაპიტალიც, 87 მილიონი ლარით, ანუ დაახლოებით 5%-ით. ამ პერიოდში დაიხურა “აგროინვეტბანკი” რომელიც “პროგრეს ბანკთან” უნდა შერწყმულიყო, თუმცა ეს არ განხორციელდა. “გალტ ენდ თაგარტ ბანკი”, ბანკი რომელიც “საქართველოს ბანკის” შვილობილი კომპანია იყო, 2008 წლის 27 ივნისს ხელი მოაწერა “საქართველოს ბანკთან” შერწყმის (მიერთების) ხელშეკრულებას და ამავე დღეს აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრაციაში გატარდა. ამის შედეგად “საქართველოს ბანკი” გახდა “გალტ ენდ თაგარტ ბანკის” სამართალმემკვიდრე. შერწყმის ხელშეკრულების შედეგად არ განხორციელდა საზღაურის გადახდა და საქართველოს ბანკის საწესდებო კაპიტალი, არსებული აქციების მფლობელთა უფლებები და ბანკის მმართველობის სტრუქტურა არ შეცვლილა. შერწყმის მიდითადი მიზანი ბანკის კორპორაციული სტრუქტურის გამარტივება იყო.

2008 წლი მესამე კვარტალში ქართულმა ბანკებმა ძალზედ დიდი ზარალი განიცადეს. მთლიანად კომერციული ბანკების ზარალმა 31,7 მილიონი ლარი შეადგინა. 10 ბანკმა მთლიანად დაიხურა და ზარალი 1,5 მილიონი ლარით შეადგინა.

2009 წლის პირველ კვარტალში მთლიანად კომერციული ბანკების ზარალი შემცირდა 15 მილიონამდე. კონკრეტულად ბანკების წმინდა მოგება/ზარალი ამ პერიოდში შემგები იყო:

ბანკების წმინდა მოგება/ზარალი
2009 წლის პირველი კვარტალი (ათ. ლარი)



მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში თითქმის ყველა ბანკი დადგა ლიკვიდურობის რისკის წინაშე - პრობლემა, რომელიც ნებისმიერი ფინანსური სისტემის სტაბილურობისათვის უმთავრესი პირობაა. კრიზისმა აჩვენა, რომ მუდმივი ლიკვიდურობის დონის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. მსოფლიო საფინანსო კრიზისისა და საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდში, ბანკებისთვის არსებულმა ომმა და კონკურენციამ კონკურენცია გააძლიერა, მათ დაკარგეს დიდი მოცულობის კაპიტალი და მოზიდული სახსრები, რის შედეგადაც გაუჩნდათ ლიკვიდურობის მწვავე პრობლემა, რამაც მათი საქმიანობა მნიშვნელოვნად შეაფერხა. ლიკვიდობის საშუალო დონე საქართველოში 2008 წელს შეადგენდა დაახლოებით 27%-ს, ხოლო 2009 წლის

პირველი კვარტალისთვის **23%-ს**, რაც წინა წლებთან შედარებით მცირეა.

ბანკების სტრატეგიასა და რისკ-მენეჯმენტს თუ გადავხედავთ, შეიძლება გამოვყოთ ბანკების შემდეგი ტიპები:

➤ ბანკები, რომლებსაც ჰქონდათ დივერსიფიცირებული აქტივები და სამშენებლო და მსგავსი სახის ბიზნესს მჭიდროდ არ უკავშირდებოდნენ. მაგალითად, “პროკრედიტ ბანკი საქართველო” და “ბანკი ქართუ”.

“პროკრედიტ ბანკი” განვითარებაზე ორიენტირებული უნივერსალური ბანკია, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საუკეთესო მომსახურებას და საბანკო პროდუქტების ფართო არჩევანს. იგი ორიენტირებული არ არის სამომხმარებლო სესხებზე. მისი უმთავრესი მიზანია შექმნას საიმედო საკრედიტო მომსახურება კლიენტებთან გრძელვადიანი პარტნიორობის დამყარებით. ბანკი ასევე მნიშვნელოვან ინვესტიციებს დებს კადრების მომზადებაში, რათა შექმნას სასიამოვნო და ეფექტიანი სამუშაო გარემო, ხოლო კლიენტებს შესთავაზოს მაქსიმალურად კეთილგანწყობილი და კონკურენტუნარიანი მომსახურება. “პროკრედიტ ბანკი” ყველაზე ჰქვიანურ მოთამაშედ უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ ბანკმა იპოთეკურ სესხებზე უარი თქვა და მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად ძალიან მცირე, მცირე და საშუალო ბიზნეს დაფინანსება ამჯობინა, რადგან, მათი თქმით, სწორედ ასეთი სახის საწარმოები ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს და ამით მათ მნიშვნელოვანი წილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაში. ბანკი აქტივების დაახლოებით 8%-ს ფლობს, ფიზიკური პირებისა და ოჯახის დანაზოგების დაახლოებით

14%-ს. ბანკის მიერ მოზიდულმა კლიენტთა მთლიანმა სახსრებმა 2008 წლის მესამე კვარტალის ბოლოსთვის **191 მილიონი აშშ**. დოლარი შეადგინა, რაც წლის დასაწყისზე 18 მილიონით მეტია. ეს ციფრები “პროკრედიტ ბანკის” მიმართ მომხმარებლის ნდობის მაჩვენებელია, რაც აგვისტოს მოვლენების დროს მომხმარებლების მიერ თანხის შეუფერხებლად გატანის შესაძლებლობამ მნიშვნელოვნად გააძლიერა. ყოველივე ეს კი აისახა მის საქმიანობაზე და 2008 წლის ბოლოსთვის მისმა წმინდა მოგება **13 578 000 ლარი** შეადგინა, რაც მის წინა წლის მონაცემთან შედარებით 35%-ით მეტია. მისი აქტივები და ვალდებულებებიც გაიზარდა 24%-ით (**684 997 000 და 592 212 000 ლარი**), ხოლო კაპიტალი 27,25%-ით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბანკის მიერ არჩეული სტრატეგია ძალზედ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან მან განაპირობა ბანკის სტაბილურობა; ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად 2008 წელს «პროკრედიტ ბანკი» ინარჩუნებდა ყველა მიმართულებით სწრაფად განვითარების ტენდენციას და ბანკის მიერ მოზიდულ კლიენტთა რაოდენობაც იზრდებოდა. 2008 წელს ბანკის მთლიანი საკრედიტო პორტფელი 36,3%-ით გაიზარდა და 526.1 მლნ ლარი შეადგინა. წლის ბოლო თვეებში, მიუხედავად გაურესებული ეკონომიკური მდგომარეობისა, ბანკმა შეინარჩუნა საკრედიტო პორტფელის მაღალი ხარისხი. ბანკის საკრედიტო პორტფელი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ანაზრები, ის მაინც ინარჩუნებს ლიკვიდურობას საერთაშორისო პარტნიორებისგან (შვეიცარიის, ჰოლანდიის, ავსტრიის და გერმანიის განვითარების ბანკები და სხვა) მოზიდული გრძელვადიანი დაფინანსებით. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო **Fitch Ratings-**

მა “პროკრედიტ ბანკს” მიანიჭა “B+” რეიტინგი, ეს საქართველოში შესაძლო ყველაზე მაღალი რეიტინგია.

“ბანკი ქართუ” სრულიად თავისუფლად შეიძლება ჩავთვალოთ საქართველოს საუკეთესო ბანკად. ის მოწინავეა როგორც აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის, ისე სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. იგი 1996 წლიდან ფუნქციონირებს. მისი ძირითადი ფასეულობებია: საუკეთესო მომსახურება და ლოიალური დამოკიდებულება თითოეული კლიენტის მიმართ; საბანკო პროდუქტების სრული და მრავალფეროვანი პაკეტი; მომხმარებელზე მორგებული თანამედროვე და ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტილებები და პროფესიონალი კადრები. მისი კლიენტების უმრავლესობას შეადგენს კორპორაციები, ბანკი ქართუს დევიზია “განავითარეთ თქვენი ბიზნესი ჩვენთან ერთად”. მისი პარტნიორები არიან მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის: ევროპის განვითარების ბანკი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი; მრავალი უცხოური კომერციული ბანი; ასევე მისი მონაწილეობითაა დაფუძნებული ადგილობრივი პარტნიორები: “ქართუ ბროკერი” და “ქართუ დაზღვევა”. მისი ეს სტრატეგია წარმატებული იყო როგორც საბანკო სისტემის ზრდის პერიოდში, ისე კრისიზის დროსაც. მას არ ჰქონია ზარალი კრისიზის არც ერთ პერიოდში, პირიქით მისი აქტივები კვლავაც იზრდებოდა, თუმცა მისი მოგება დაახლოებით 60%-ით შემცირდა. ამის მიხედვით ის სიდიდით მაინც მეორე გახდა საქართველოში.

➤ მსხვილი ბანკები, რომლებმაც თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად გადარჩენის სტრატეგიას მიმართეს, უცხოური სახსრები მოიზიდეს და კვლავ ლიდერ ბანკებად რჩებიან, ესენია “საქართველოს ბანკი”, “თიბისი ბანკი” და ბანკი “რესპუბლიკა”.

ბანკი “რესპუბლიკა” ერთ-ერთი ძველი კომერციული ბანკია (დაფუძნდა 1991 წელს). მან წარმატებულად გაუძლო 90-იანი წლების ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძნელეებს და ამჟამად ის საქართველოს ერთერთი წარმატებული და სტაბილური ლიდერი ბანკია, იგი აქტივებისა და ვალდებულებების მიხედვით მესამეა. 2006 წელს ბანკის საწესდებო კაპიტალის 70% შეიძინა ფრანგულმა საბანკო გიგანტმა “სოსიეტე ქენერალმა” (60%) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, რის შედეგადაც მისი კაპიტალი 65%-ით გაიზარდა. ბანკის საქმიანობის მიმართულებას წარმოადგენს მცირე, კორპორაციული და იპოთეკური სესხების გაცემა. მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველოში შექმნილი მძიმე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ბანკ “რესპუბლიკაზე” შედარებით სუსტად აისახა. ქვეყანაში შექმნილი ლიკვიდურობის პრობლემების და კრისიზისგან თავის დაცვაში ბანკ “რესპუბლიკას” ეხმარებოდა “სოსიეტე ქენერალის გამოცდილება” და მის სახსრებზე ხელმისაწვდომობა. ამის შედეგად ბანკმა შეინარჩუნა თავისი განვითარების ტემპი. მისი აქტივები წინა 2008 წელს 70%-ით გაიზარდა, ვალდებულებები 80%-ით, რაც მისდამი ნდობის მაღალი დონის მაჩვენებელია, ხოლო კაპიტალი 35%-ით. რაც შეეხება მის წმინდა მოგებას ის 75%-ით შეუმცირდა, პირველ კვარტალში კი მან 546 ათასი ლარის

ზარალი მიიღო. ბანკ “რესპუბლიკას” გააჩნია დიდი პოტენციალი, რომ უფრო მოწინავე პოზიცია დაიკავოს.

➤ ბანკები, რომლებიც სამშენებლო ბიზნესზე მჭიდროდ არიან მიბმული.

ასეთი სახის ბანკები საქართველოში მრავალია, ყველაზე მეტ იპოთეკურ სესხებს კი “საქართველოს ბანკი” გასცემდა. სამშენებლო ბიზნესის ზრდის ტემპი 2002 წლიდან დაიწყო. ბინათმშენებლობაზე მოთხოვნა ძალზედ იზრდებოდა. მალე ბინათმშენებლობა საქართველოს ეკონომიკის მიშვნელოვანი სექტორი და დასაქმების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო იყო. გამარტივდა იპოთეკური სესხის აღების პირობებიც, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მასზე მოთხოვნა. ბოლო წლებში იპოთეკური სესხების მოცულობა წელიწადში საშუალოდ 2 მილიონი ლარით იზრდებოდა. ამის პარალელურად მიშვნელოვნად გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ სამშენებლო სექტორის დაკრედიტების მოცულობა; 2008 წლის ივნისისთვის სამშენებლო სექტორზე გაცემულმა სესხებმა 435 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით 69%-ით მეტია. ამასთან, 2008 წლიდან დაიწყო მსგავსი სახის უიმედო სესხების მოცულობის ზრდამ, რომელმაც მალე მთლიანად გაცემული სესხების 3,4% შეადგინა.

➤ ბანკი, რომელიც ყოფილი მცირე საინვესტიციო ფონდებს წარმოადგენენ (“კონსტანტა”).

“კონსტანტა” 2008 წლის ივნისიდან საქმიანობს კომერციული ბანკის სტატუსით, მანამდე ის 1997 წლიდან ფუნქციონირებდა როგორც მიკროსაფინასო ორგანიზაცია, 2007 წელს კი ჩამოყალიბდა სააქციო

საზოგადოებად. მან შეძლო გამხდარიყო ლიდერი ასეთი სახის ორგანიზაციებს შორის. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას მცირე ბიზნესისთვის სესხების გაცემა წარმოადგენს. მისი აქტივები 2008 წლის ბოლოსთვის 69,8 მილიონ ლარს შეადგენდა, ვალდებულებები – 59,26 მლნ. კაპიტალი კი – 11,5 მლნ. ლარი. მან საქმიანობის პირველ წელს 3,9 მილიონი ლარის ზარალი განიცადა, თუმცა 2009 წლის პირველ კვარტალში 450 ათასი ლარის წმინდა მოგება მიიღო.


საკრედიტო კრიზისმა პირველ წელს მრავალი კომერციული ბანკი იმსხვერპლა. ქართულ ბანკებს მოუწევთ უფრო წინდახედულად მოიქცნენ კრედიტების გაცემის დროს. ამასთან, რადგან ეს საქმიანობა მათი შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა, მათ კვლავ ექნებათ დიდი მოცულობის სესხების გაცემის და ჭარბი კაპიტალდაბანდების სურვილი, უმეტესწილად კერძო აქციებში.

კრიზისის დროს სტაბილურობას შეინარჩუნებენ ის ბანკები, რომლებიც სხვებზე უკეთ შეძლებენ კაპიტალის მობილიზაციას და განსაზღვრავენ აქციებს, რომლებიც მათ რეალურ ღირებულებაზე იაფად შეფასდება. ამ საქმიანობით გატაცებამ კრიზისის პირველ წელს ძალიან ბევრი იმსხვერპლა როგორც უცხოეთში, ისე საქართველოშიც.

კრიზისის დროს დიდი მოცულობის აქტივებს მეტი მნიშვნელობა ენიჭება. საღი ფინანსური მდრომარეობის ბანკები გაუძლებენ ფინანსურ კრიზისს. ამასთან ყველა ბანკს მოუწევს გადახედოს თავიანთ მენეჯმენტს. კრიზისმა აჩვენა, რომ საჭიროა ახალი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ბანკს გადაარჩენს გაკოტრებისგან და მოგების შემცირებისგან, ხელისუფლებას კი მოუწევს თავისი

პოლიტიკის შეცვლა რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებას.

აღნიშნულმა კრიზისმა მთლიანად შეცვალა საფინანსო სისტემა. ბანკებს მოუწევთ თავისი დაკარგული კაპიტალის და კლიენტების ნდობის აღდგენა.



კომერციული ბანკების წილი მთლიან საბანკო აქტივებში 2009 წლის I კვარტლის ბოლოს

ბოლო მონაცემების მიხედვით საბანკო სფეროში აქტივების მიხედვით დიდი ცვლილება არ მომხდარა. ლიდერ ბანკებს კვლავ შენარჩუნებული აქვთ თავისი პოზიციები, ხოლო ახალი და მცირე ბანკები კვლავაც მცირე წილის მფლობელები არიან. მთლიანად საბანკო აქტივების მოცულობაშიც არსებითი მნიშვნელობის ცვლილება არ მომხდარა.

2008 წლის ომის და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის აღდგენაში საბანკო სექტორის განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მთავრობის, ეროვნული ბანკისა და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან შეთანხმებით, საბანკო სექტორის რეაბილიტაციის დეტალური სამუშაოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამოქმედო გეგმის რეალურობა ბევრად იქნება დამოკიდებული ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეფინანსირების შედარებით მოკლევადიანი (ერთ წლამდე) ინსტრუმენტების შემუშავებასა და მათზე სარგებლის ნორმის განსაზღვრის ისეთი წესის შემოღებაზე, რომელიც ფულის ბაზრის კონიუნქტურას დაეყრდნობა. რეფინანსირება ისეთმა ბანკებმა უნდა მიიღონ, რომელთაც მხოლოდ მიმდინარე ლიკვიდურობის პრობლემა აქვთ და სამუშაოვადიან პერსპექტივაში, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების თანადგომით, სტაბილურ ზრდას შეძლებენ. ის ბანკები კი, რომლებსაც უკვე აქვთ გადაულახავი ფინანსური

სიძნელეები, დაუყოვნებლივ უნდა დაექვემდებარონ რეკაპიტალიზაციის მკაცრ მოთხოვნას, რაც მათში დამატებითი ინვესტიციის მოზიდვას ან კიდევ სხვა, უფრო სტაბილურ ბანკთან შერწყმას გულისხმობს.

რამდენადაც, როგორც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, საბანკო სისტემის მდგრადობას უპირატესად მაკროეკონომიკური მდგენელები განაპირობებენ, ხოლო ბანკების ლიკვიდურობის სისტემურ მართვას უშუალოდ ეროვნული (ცენტრალური) ბანკები ახორციელებენ, აუცილებელია საბანკო და, საზოგადოდ, საფინანსო სექტორის რეგულირების სფეროში ეროვნული ბანკის როლის გაძლიერება საბანკო დაწესებულებათა მიმართ ნდობის აღდგენის მიზნით საჭიროა ახლო მომავალში ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საბანკო დაწესებულებათა ბანკროტობის შემთხვევაში შეანაბრეთა ინტერესების გარკვეულ დაცვას უზრუნველყოფს.